

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“; „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;
 „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს
 პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

კანონპროექტების განხილვისას გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი

	შენიშვნის ავტორი	შენიშვნის შინაარსი	გათვალისწინების მდგომარეობა
1.	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	<p>მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია არსებობდეს მკაფიოდ განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკა და შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები. მით უფრო, რომ სამომხმარებლო სფეროში ევროპული სტანდარტის დანერგვას ითვალისწინებს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“.</p> <p>აღნიშნული სფერო საკმაოდ მოცულობითია, დელიკატურია და დაკავშირებულია წარმოების, ბიზნესის და ვაჭრობის სფეროში გაცვლითი ურთიერთობისას წარმოშობილი ასპექტების რეგულირებასთან, რომლის ფარგლებშიც ბალანსირებულად უნდა იქნას დაცული როგორც მოვაჭრის, ასევე მომხმარებლის უფლებები. სწორედ ამიტომ ვადები, რომლებიც მოცემულია ასოცირების შეთანხმებაში იძლევა დინამიური და ეტაპობრივი ჰარმონიზაციის შესაძლებლობას (განმარტებით ბარათში მოცემული დირექტივების შესრულების ვადად</p>	<p>ნაწილობრივ გაზიარებულია</p> <p>ვეთანხმებით მთავრობის ადმინისტრაციის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ვადები, რომლებიც მოცემულია ასოცირების შეთანხმებაში იძლევა მომხმარებელთა უფლებების სფეროში დინამიური და ეტაპობრივი ჰარმონიზაციის შესაძლებლობას.</p> <p>ჩვენი კანონპროექტიც ეტაპობრივია და მომხმარებლის მინიმალური დაცვის საშუალებებს ითვალისწინებს.</p> <p>მომხმარებელთა უფლებების გაუმჯობესების კუთხით ვალდებულების შესრულების 5 წლიანი ვადა არ გულისხმობს საკანონმდებლო ცვლილებების მეხუთე წელს მიღებას, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე.</p>

		განისაზღვრა შეთანხმების ძალაში შევლიდან 5 წელი).	
2.	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	<p>ინიციატივით წარმოდგენილი რეგულაციები ვრცელდება ვაჭრობის სფეროში მონაწილე პირთა ფართო წრეზე და მათ შემოღებამდე, აუცილებელია რეგულაციების გავლენის ანალიზი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.</p> <p>ასევე, აუცილებელია გარკვეული დროის აღება, რათა მოხდეს კერძო სექტორის მომზადება და ადაპტაცია, მით უმეტეს, რომ ამის საშუალებას იძლევა ასოცირების შეთანხმება, რომლის XXIX დანართით განსაზღვრული დირექტივების მოთხოვნები საქართველომ ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წლის ვადაში უნდა შემოიღოს (2019 წლის სექტემბერი).</p>	<p>ნაწილობრივ გაზიარებულია</p> <p>ვეთანხმებით მთავრობის ადმინისტრაციის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ვადები, რომლებიც მოცემულია ასოცირების შეთანხმებაში იძლევა მომხმარებელთა უფლებების სფეროში დინამიური და ეტაპობრივი ჰარმონიზაციის შესაძლებლობას.</p> <p>ჩვენი კანონპროექტიც ეტაპობრივია და მომხმარებლის მინიმალური დაცვის საშუალებებს ითვალისწინებს.</p> <p>მომხმარებელთა უფლებების გაუმჯობესების კუთხით ვალდებულების შესრულების 5 წლიანი ვადა არ გულისხმობს საკანონმდებლო ცვლილებების მეხუთე წელს მიღებას, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე.</p>
3.	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	<p>მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ახალი ინსტიტუტის - მომხმარებელთა ომბუდსმენისა და მისი საქმიანობის ხელშემწობი ახალი აპარატის შექმნა, წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს უკვე არსებული ინსტიტუტების მეშვეობით, რომლებიც უფლებადაცვით საქმიანობას ახორციელებენ.</p>	<p>არ არის გაზიარებული</p> <p>თუ წარმოდგენილ ლოგიკას მივყევით მაშინ არ უნდა არსებობდეს ბიზნესომბუდსმენი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და ა.შ.</p>

			იქმნება არა ბიზნესის მაკონტროლებელი უწყება არამედ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ინსტიტუტი, რომელიც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებასა და შესაბამისად ბიზნესის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.
4.	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	ახალი ინსტიტუტის შემოღება გავლენას მოახდენს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე, თუმცა განმარტებით ბარათში არ არის განსაზღვრული გათვლები, თუ რა გავლენას მოახდენს იგი მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რაც არ იძლევა მისი საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშების საშუალებას.	<p align="center">არ არის გაზიარებული</p> <p>კომიტეტმა საბიუჯეტო ოფისთან ერთად განახორციელა კანონის პროექტის ფინანსური სახსრების პირველადი შეფასება.</p>
5.	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული კანონპროექტი პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მთავრობის თანხმობის შემთხვევაში.	<p align="center">არ არის გაზიარებული</p> <p>აღნიშნული ჩანაწერი ატარებს ციტირების და არა შენიშვნის ხასიათს.</p>
6.	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომელთა გატარებაც გავლენას მოახდენს ვაჭრობის სფეროში მონაწილე მხარეების ფართო წრეზე და ასეთი რეგულაციების მიღებამდე მიზანშეწონილია ჩატარდეს აღნიშნული რეგულაციების ზემოქმედების ანალიზი და რა გავლენას მოახდენს აღნიშნული ღონისძიებების გატარება ეკონომიკის განვითარებაზე.	<p align="center">არ არის გაზიარებული</p>
7.	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	სათანადო რეგულირების შემოღების შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მომხმარებელთა ომბუდსმენის და შესაბამისად მისი	<p align="center">არ არის გაზიარებული</p>

		<p>საქმიანობის ხელშესაწყობად ახალი აპარატის შექმნას.</p> <p>„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს იმ უწყებების საქმიანობის ფარგლებში, რომლებიც დღესაც ახორციელებენ უფლებადაცვით საქმიანობას.</p>	<p>იქმნება არა ბიზნესის მაკონტროლებელი უწყება არამედ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ინსტიტუტი, რომელიც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებასა და შესაბამისად ბიზნესის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.</p>
8.	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>	<p>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის წესი რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, სახსრები ბიუჯეტიდან გამოიყოფა მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის, შესაბამისად ვერ დავეთანხმებით კანონპროექტის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში გატარებული აქტივობების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შესაძლებლობას.</p>	<p>არ არის გაზიარებული</p> <p>საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კერძოდ „გრანტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გრანტის გამცემი შეიძლება იყოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის წესდების/დებულების ერთ-ერთი მიზანია საქართველოში განხორციელებული რეფორმების პოპულარიზაცია. ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლის მიხედვით გრანტის მიმღები შეიძლება იყოს საქართველოს რეზიდენტი ან არარეზიდენტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, მისი წარმომადგენლობა, ფილიალი, განყოფილება და საქართველოს ბიზნესომბუდსმენი.</p>
9.	<p>საქართველოს ბიზნესომბუდსმენი</p>	<p>უპირველესად აღსაღნიშნავია, რომ კანონპროექტით გათვალისწინებულია ახალი რეგულაციები (მაგ: საგარანტიო ვადა, პრუდუქტის დაბრუნება, ინფორმაციის</p>	<p>არ არის გაზიარებული</p> <p>კანონპროექტის მიღებით ბიზნეს სუბიექტების</p>

		<p>მიწოდების ფორმები და ა.შ.), რომლებიც დაკავშირებულია ბიზნეს სუბიექტების მიერ დამატებითი საოპერაციო ხარჯების გაწევასთან. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო ბაზა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ პროცესში მოხდეს როგორც მომხმარებელთა, ასევე ბიზნეს სუბიექტთა ინტერესების დაბალანსებული დაცვა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოხდეს რეგულირების გავლენის შეფასება (RIA), რათა სრული წარმოდგენა შეიქმნას ბიზნესზე ახალი საკანონმდებლო ინიციატივის გავლენის მაშტაბზე.</p>	<p>მდგომარეობა არ მძიმდება.</p>
<p>10.</p>	<p>საქართველოს ბიზნესომბუდსმენი</p>	<p>კანონპროექტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭება იმ სპეციალურ კანონს, რომელიც მომხმარებლის უფლებების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს. კანონი ითვალისწინებს თუ არა მომხმარებლის უფლებების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს - შეფასებითა და ამგვარი ჩანაწერი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შექმნის ნორმათა სწორი გამოყენების (შერჩევის) პრობლემას. მიგვაჩნია, რომ თუ სპეციალური კანონით მომხმარებლის უფლების დაცვის კუთხით გათვალისწინებულია ნორმები, მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით სწორედ მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა განსახილველ კანონპროექტთან მიმართებაში.</p>	<p>არ არის გაზიარებული</p> <p>უფრო მაღალი სტანდარტით დაცვა გამომდინარეობს მომხმარებლის უფლებებიდან და შესაბამისად გამორიცხავს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.</p>
<p>11.</p>	<p>საქართველოს</p>	<p>განსახილველ კანონპროექტში ასახული დებულებები გარკვეულწილად მსგავსი ან იდენტურია იმ</p>	<p>არ არის გაზიარებული</p>

	<p>ბიზნესომბუდსმენი</p>	<p>რეგულაციების, რაც უკვე დადგენილია საქართველოში მოქმედი ცალკეული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. კერძოდ, კანონპროექტის მე-6 მუხლის შინაარსი იმეორებს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-12 მუხლისა და „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დებულებებს.</p> <p>კანონპროექტის მე-7 და მე-9 - მე-11 მუხლები მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს, ასევე ქუჩაში დადებული გარიგებებისა და ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მარეგულირებელ ნორმებს. მართალის კანონპროექტის მე-12 მუხლში ასახულია დეტალურად განმარტება შეცდომაში შემყვან რეკლამასთან დაკავშირებით, თუმცა ამავე საკითხზე ზოგადი სინაარსის დებულებები ასახულია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონშიც. შესაბამისად, კანონპროექტის წარმოდგენილი სახით მიღება შექმნის დუბლირებული ნორმების არსებობის და ნორმაგამოყენების პროცესში ბუნდოვანების რისკებს.</p> <p>ამდენად, მიზანშეწონილია, ნაცვლად ახალი, სპეციალური კანონის მიღებისა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეფექტური საშუალებების შექმნის მიზნით, შესაბამისი ცვლილებები შევიდეს არსებულ ნორმატიულ აქტებში.</p>	<p>საქართველოს კანონმდებლობა ამ ეტაპზე სრულად ვერ ახორციელებს მომხმარებლის უფლებების ეფექტურ დაცვას. ახალი კანონპროექტის ერთ-ერთი მიზანი, განსხვავებით სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა, კონკურენციის განვითარების შესაბამისად მომსახურებისა და საქონლის ხარისხის გაუმჯობესებაც არის.</p>
12.	საქართველოს	კანონპროექტის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის	გაზიარებულია

	<p>ბიზნესომბუდსმენი</p>	<p>თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს, ცალკეული გამონაკლისების გარდა, მფლობელობაში მიღებიდან 14 დღის ვადაში დააბრუნოს პროდუქცია. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ვადა შეუსაბამოდ მაღალია და უნდა შემცირდეს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ 2011/83 დირექტივის მიხედვით, ასეთი ვადა წესდება მხოლოდ დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების მიმართ და არა ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ეს პროექტით არის გათვალისწინებული.</p> <p>აგრეთვე, გაუმართლებელია აღნიშნული (საქონლის დაბრუნების) უფლება გავრცელდეს ნებისმიერი ღირებულების, მათ შორის, წვრილმან ნივთებზე, შესაბამისად მიზანშეწონილია, დაწესდეს გარკვეული მონეტარული ზღვარი, რომლის ქვემოთაც პროდუქციის დაბრუნება არ იქნება შესაძლებელი. სწორედ ამგვარ პრინციპს ითვალისწინებს 2011/83 დირექტივა.</p> <p>აქვე, საგულისხმოა, რომ პროდუქციის დაბრუნების შემთხვევაში, მოვაჭრე ვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებით დადგენილი წესით შეადგინოს მომხმარებელზე ფულის დაბრუნების ფაქტის დაფიქსირების აქტი და მას დაურთოს გაუქმებული ჩეკი. შეძენილი ნივთების დაბრუნების ფაქტების გახშირების შემთხვევაში, მოვაჭრე აღმოჩნდება აღრიცხვის გარტულების საფრთხის წინაშე.</p>	<p>მომხმარებელს უფლება აქვს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე უარი თქვას ხელშეკრულებაზე მომხმარებლის მიერ საქონლის მფლობელობაში მიღებიდან, ხოლო მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში - ხელშეკრულების დადებიდან არა 14 არამედ 7 დღის განმავლობაში. ეს ვადა დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში შეადგენს 14 დღეს.</p>
13.	<p>საქართველოს ბიზნესომბუდსმენი</p>	<p>კანონპროექტის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები, თუ საქონლის</p>	

		<p>ხელშეკრულებასთან შეუსაბამობა აღმოჩენილია საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემიდან 2 წლის ან საქონლის ვარგისიანობის ვადის განმავლობაში, საქონელზე მისი მკაფიოდ მითითების შემთხვევაში.</p> <p>მიგვაჩნია, რომ მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს 2 წლიან ვადაში, ხოლო თუ ნივთის ვარგისიანობის ვადა 2 წელზე ნაკლებია - ამ ვადაში.</p> <p>რაც შეეხება მოთხოვნის უფლების გავრცელებას ვარგისიანობის მთელ პერიოდზე, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს კიდევ 2 წლიან ვადას, კანონის მსგავსი დათქმის გაკეთება მიხანშეწონილი არ არის, ვინაიდან მოვაჭრე ისედაც არ იზღუდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით უფრო მარაღალი სტანდარტი დააწესოს მისი საქმიანობის ფარგლებში.</p>	<p style="text-align: center;">არ არის გაზიარებული</p> <p>საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შეფასება „მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს 2 წლიან ვადაში, ხოლო თუ ნივთის ვარგისიანობის ვადა 2 წელზე ნაკლებია - ამ ვადაში“ შინაარსობრივად სრულად მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტი ზუსტად იგივეს გულისხმობს რაც ბიზნესომბუდსმენის მოსაზრებაა. კერძოდ მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები, თუ საქონლის ხელშეკრულებასთან შეუსაბამობა აღმოჩენილია საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემიდან 2 წლის განმავლობაში, ხოლო თუ საქონელს აქვს გარანტია მაგ. 1 წელი ან 6 წელი მაშინ ამ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.</p>
14.	<p style="text-align: center;">საქართველოს ბიზნესომბუდსმენი</p>	<p>გაუმართლებლად მიგვაჩნია მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნებისათვის ახალი ინსტიტუტის - მომხმარებელთა ომბუდსმენის თანამდებობის შემოღება (რაც დღის წესრიგში აყენებს ომბუდსმენის აპარატის შექმნის საჭიროებასაც). აღნიშნული გამოიწვევს ერთის მხრივ, ბიუროკრატიული ხარჯების ზრდას სახელმწიფო ბიუჯეტისთვის და მეორეს მხრივ, ბიზნესისათვის ერთგვარი მაკონტროლებელი უწყების დამატებას,</p>	<p style="text-align: center;">არ არის გაზიარებული</p> <p>თუ წარმოდგენილ ლოგიკას მივყვებით მაშინ არ უნდა არსებობდეს ბიზნესომბუდსმენი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და ა.შ.</p> <p>იქმნება არა ბიზნესის მაკონტროლებელი უწყება არამედ მომხმარებელთა უფლებების დაცვის</p>

		რომელსაც შესაძლოა მეწარმეთა მიმართ რეპრესიული (სანქციონების) ფუნქციის განხორციელებაც დაეკისროს, დროთა განმავლობაში.	ინსტიტუტი, რომელიც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებასა და შესაბამისად ბიზნესის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. 3 , 7 და 14 შენიშვნები ნალოგიურია
15.	საქართველოს ბიზნესომბუდსმენი	კანონპროექტის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით, მომხმარებელთა ომბუდსმენის უფლებამოსილება ვრცელდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ყველა სფეროზე, გარდა უკვე არსებული ნორმატიული აქტებით დარეგულირებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროებისა. აღნიშნული ჩანაწერით მკვეთრად არ არის გამიჯნული მომხმარებელთა ომბუდსმენის უფლებამოსილება საქართველოში მოქმედ მომხმარებელთა უფლებების დამცველ სხვა ინსტიტუტებთან და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში არსებულ მაკონტროლებელ ორგანოებთან მიმართებაში.	გაზიარებულია მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონის პროექტის მე-15 მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „მომხმარებელთა ომბუდსმენი ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს ამ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტს და ამ კანონით დადგენილი წესით ხელს უწყობს პირის დარღვეული უფლებების აღდგენას, მათ შორის მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით. მისი უფლებამოსილება ვრცელდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ყველა სფეროზე, გარდა იმ სფეროებისა, რომლებსაც ჰყავთ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები.“
16.	საქართველოს ბიზნესომბუდსმენი	კანონპროექტის 24-ე მუხლის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ან სხვა შემთავაზებელსა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში, ასევე ხელი შეუწყონ სამომხმარებლო დავის მედიაციის საშუალებით	გაზიარებულია 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას

		<p>მოგვარებას.</p> <p>გაუგებარია, რატომ უნდა მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები კერძო სუბიექტებს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებში.</p> <p>რაც შეეხება ნორმაში ასახულ არასამთავრობო ორგანიზაციათა სხვა ფუნქციებს, მათი შესრულება არც მოქმედი კანონმდებლობით არის შეზღუდული და აღნისნული ცალკე ნორმატიული რეგლამენტირება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. შესაბამისად, აღნიშნული მუხლი კანონპროექტიდან ამოსაღებია.</p>	
17.	<p>საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი</p>	<p>კანონპროექტით წარმოდგენილი ტერმინები: მომხმარებელი; მოვაჭრე; პროდუქცია და მომსახურება სამართლებრივი თვალსაზრისით შეუსაბამობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან და ცალკეულ შემთხვევებში ბუნდოვანია, შესაბამისად მიზანშეწონილია მოხდეს მათი დაკონკრეტება.</p>	<p style="text-align: center;">გაზიარებულია</p> <p>მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქ. კანონის პროექტის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:</p> <p>მუხლი 3. ტერმინთა განმარტება</p> <p>ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:</p> <p>ა) მომხმარებელი - ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს საქონელს ან მომსახურებას პირადი მოხმარების, ანუ არა მისი სამეწარმეო ან სხვა პროფესიული საქმიანობის მიზნით.</p> <p>ბ) მოვაჭრე - სამეწარმეო ან სხვა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში საქონლის შემთავაზებელი ან/და გამყიდველი, ასევე,</p>

			<p>მომსახურების გამწევი ფიზიკური ან იურიდიული პირი.</p> <p>გ) საქონელი - ნებისმიერი მოძრავი ნივთი, მათ შორის მასში განთავსებული ან ელექტრონული ფორმით გავრცელებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.</p> <p>დ) მომსახურება - მომხმარებლის პირადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად შეთავაზებული მომსახურება რომელიც არ არის დაკავშირებული ჯანდაცვის, დაზღვევის ან სოციალური მომსახურების გაწევასთან, ასევე მომსახურების ისეთ სფეროსთან რომელშიც ფუნქციონირებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო.</p>
18.	საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	მიზანშეწონილია კანონპროექტს დაემატოს პუნქტი, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვან ფიზიკურ პირებზე ნების გამოვლენის ნამდვილობისას აუცილებელი იქნება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.	<p>არ არის გაზიარებულია</p> <p>არასრულწლოვანთა დაკავშირებით გარიგებაზე ნების გამოვლენას დეტალურად განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ამდენად ამის კანონის პროექტში გაწერა არ არის მიზანშეწონილი.</p>
19.	საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	მიზანშეწონილია, შექმნილი პროდუქტის უკან დაბრუნების 14 დღიანი ვადა შემცირდეს. აგრეთვე, მოხდეს პროდუქტის დიფერენციაცია, იმის მიხედვით, თუ რომელი პროდუქტის დაბრუნება არის შესაძლებელი და რომლის არა.	<p>გაზიარებულია</p> <p>დისტანციურ და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში პროდუქტის უკან დაბრუნების 14 დღიანი ვადა უცვლელი დარჩება რადგან დირექტივითაა გათვალისწინებული.</p>

			<p>ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევებში ყოვლევარი საფუძვლის გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადა მცირდება 7 დღემდე.</p>
20.	<p>საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი</p>	<p>მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაკონკრეტდეს თუ რომელ სფეროებზე არ ვრცელდება მომხმარებელთა ომბუდსმენის უფლებამოსილება.</p>	<p>გაზიარებულია</p> <p>მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქ. კანონის პროექტის მე-15 მუხლი 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:</p> <p>მომხმარებელთა ომბუდსმენი ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს ამ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტს და ამ კანონით დადგენილი წესით ხელს უწყობს პირის დარღვეული უფლებების აღდგენას, მათ შორის მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით. მისი უფლებამოსილება ვრცელდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ყველა სფეროზე, გარდა იმ სფეროებისა, რომლებსაც ჰყავთ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები.</p>

21.	<p>საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი</p>	<p>მიზანშეწონილია, განიმარტოს თუ რა იგულისხმება მომხმარებელთა ომბუდსმენზე ზემოქმედებად და მის საქმიანობაში ჩარევად.</p>	<p>გაზიარებულია</p> <p>მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქ. კანონის პროექტის მე-17 მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:</p> <p>„მომხმარებელთა ომბუდსმენი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია. მომხმარებელთა ომბუდსმენზე რაიმე სახის არასათანადო ზემოქმედება და არასამართლებრივი ჩარევა აკრძალულია. რაც გულისხმობს პირის ქმედებას, კერძოდ, ზემოქმედებას, ჩარევას, ხელის შეშლას ან სხვაგვარ ზეგავლენას მომხმარებელთა ომბუდსმენთან მიმდინარე განხილვების შედეგებზე ან მის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე ან აპარატის თანამშრომელთა საქმიანობაზე, იმ გზით, რომელიც არ შეესაბამება ამ კანონსა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, იმ მიზნით, რომ მიიღოს სარგებელი ან განსაკუთრებული მოპყრობა;“</p>
-----	---	---	--